N 73 02/03/2020

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2020 წელი, 28 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა:გ.კილაძე - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ:კომისიის წევრები: თ.ტუღუში, ჯ.თავართქილაძე, ბ.თოიძე, ვ.ჩხაიძე, ვლ.ჩავლეშვილი, თ.ბურჭულაძე, ვლ.ღლონტი, ხ,ცერცვაძე, გ.თოიძე, ნ.ორაგველიძე, ლ.კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.26.46.142) ქ.ოზურგეთში ვ.დოლიძის ქუჩაზე მდებარე 380 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: გ.კილაძე

თამამომხს: ალ.მამეშვილი

2.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს: გ.კილაძე

თამამომხს: ალ.მამეშვილი

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.26.46.142) ქ.ოზურგეთში ვ.დოლიძის ქუჩაზე მდებარე 380 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“- მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში ჯერ კიდევ 2019 წელს შემოვიდა განცხადება ოზურგეთის იურიდიული დახმარების ბიუროდან ქ.ოზურგეთში დოლიძის ქუჩაზე არსებული 380 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის 50 წლიანი უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადმოცემაზე ოფისის ასაშენებლად, კომისიამ მაშინ იმსჯელა საკითხზე და მოამზადა დასკვნა, რომელშიც ზემოთაღნიშნულ ტერიტორიაზე მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული ოფისის მშენებლობა და უნდა გამონახულიყო ქალაქის ცენტრალურ ადგილას სხვა ტერიტორია. ამასთან, იურიდიული სამსახურის ბიუროს უნდა წარმოედგინა ოფისის პროექტი, რომელსაც ეხლებოდა მერიის შესაბამისი არქიტექტურული სამსახურის დასკვნა. მიმდინარე წელში იგივე ტერიტორიაზე ოფისის აშენების თაობაზე განმეორებით იქნა შემოტანილი განცხადება და მერიის შესაბამისი განკარგულების პროექტი. თანამომხსენებელმა, მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ალ.მამეშვილმა განაცხადა, რომ მერია მხარს უჭერს იურიდიული სამსახურის ბიუროს ნაკვეთის გამოყოფაზე, ის მოსაზრება, რომ ამ ტერიტორიაზე ქარი ქრის, ხეები წაიქცევა, სკვერი უნდა მოეწყოს- არაა უარის თქმის საფუძველი, მით უფრო, როცა ამ ტერიტორიის ნაწილი კერძოა-გასხვისებულია, მაგრამ ბიურომ უნდა წარმოადგინოს ოფისის შენობის კანონმდებლობის თანახმად მომზადებული და მერიის შესაბამისს სამსახურებთან შეთანხმებული პროექტი. აღსანიშნავია ისიც, რომ არქიტექტორები თავიდანვე არ უჭერდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე ერთსართულიანი შენობის აგებას არქიტექტურული ანსამბლის დარღვევის მოტივით. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ ერთსართულიანი შენობა არქიტექტორების აზრით მართლაც არ ჯდება ანსამბლში, თუ კი მერია და ბიურო შეთანხმდებიან და წარმოადგენენ ისეთ პროექტს, რომელიც არ დააზიანებს არქიტექტურულ ლანდშაფტს საკრებულო მხარს დაუჭერს მას. იურიდიული სამსახურის ბიუროს უფროსმა ი.მემარნიშვილმა განაცხადა, რომ წინააღმდეგი არ არიან სხვა ტერიტორიის გამოყოფის. კომისიის წევრებმა ასევე მოისმინეს და იმსჯელეს მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტზე-„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“, რომელიც იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე და ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენას.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა (თან ერთვის) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.26.46.142)ქ.ოზურგეთში ვ.დოლიძის ქუჩაზე მდებარე 380 კვ.მ.არასასოოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“- მუნიციპალიტეტის მერიის პროექტზე-მუნიციპალიტეტის საკრებულო იმსჯელებს იურიდიული სამსახურის ბიუროსა და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული ოფისის შენობის პროექტის წარმოდგენის შემდეგ.

.

გოჩა კილაძე

კომისიის თავმჯდომარე
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია